

- პოლიტიკა
- ეკონომიკა
- რეგიონი
- სამხედრო თემა
- კულტურა
- კონფლიქტები
- სამართალი
- საზოგადოება
- მსოფლიო
- უკრაინა
- სპორტი
- ანონსი
- ექსკლუზივი
- ინტერვიუ
- თვალსაზრისი



### სამართალი

#### სააპელაციო სასამართლომ საყდრისთან დაკავშირებით მთავრობისა და კულტურის სამინისტროს საჩივარი არ დააკმაყოფილა

13:01 02-03-2015



სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მთავრობისა და კულტურის სამინისტროს საჩივარი და ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც კულტურის სამინისტროს საყდრისი-ყაჩაღანისთვის ისტორიული ძეგლის სტატუსის მოხსნის გადაწყვეტილებას გადახედვა დაევალა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაუქმდა ის დადგენილება, რომლის მიხედვითაც საყდრისი-ყაჩაღანს ძეგლის სტატუსი შეუწყდა. ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა. სააპელაციო სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება კულტურის სამინისტროს და ყველა იმ საჯარო უწყებას, რომელიც საჩივრის მონაწილეა, 21-დღიან ვადაში შეუძლია გაასაჩივროს. მოსამართლეთა კოლეგიის მიერ დღეს მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადებას მოსაჩივრე მხარეებიდან მხოლოდ RMG Gold-ის წარმომადგენელი ესწრებოდა, კულტურის სამინისტროს, მთავრობის, ეკონომიკის სამინისტროსა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს წარმომადგენლები კი, პროცესზე არ მივიდნენ. მოპასუხე მხარის "მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენლის ნინო ბურჭულაძის განცხადებით, დღევანდელი გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ საყდრისი-ყაჩაღანისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნა უკანონო იყო.

"სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც კულტურის სამინისტრომ საყდრისისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის დროს არ დაიცვა სამართლებრივი პროცედურები. კერძოდ, საკითხი არ იყო სრულფასოვნად შესწავლილი და ძეგლს ისე გაუქმდა სტატუსი. ჩვენ დავეთანხმეთ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაში და მიემართეთ თხოვნით, რომ ძეგლის სტატუსის შეწყვეტის კანონიერებაზე თავად ემსჯელა, თუმცა სასამართლო არ დაგვეთანხმა და ეს დაავალა კულტურის სამინისტროს", - განაცხადა ნინო ბურჭულაძემ.

იგი ვერ საუბრობს რას შეცვლის სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება საყდრისი-ყაჩაღანზე მიმდინარე სამუშაოების მიმართულებით.

"რას შეცვლის ეს არ ვიცი, ვინაიდან არ ვიცი რა მდგომარეობა ტერიტორიაზე, რადგან კომპანია "არემჯი" იქ არ უშვებს შესაბამის უწყებებს. ჩვენთვის უცნობია არის თუ არა დარჩენილი ღირებული ნაწილები", - განაცხადა ნინო ბურჭულაძემ.

დღევანდელი გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდნენ საყდრისის დაცვის კომიტეტის წევრებიც, რომლებიც მოსამართლის გადაწყვეტილების გამოცხადებას ტაშით შეხვდნენ. კომიტეტის წარმომადგენელმა ნინო ბურჭულაძემ განაცხადა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილია, თუმცა მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება სიმბოლურია და ზეგავლენას ვერ მოახდენს საყდრისზე მიმდინარე სამუშაოების შეჩერებაზე. მისი თქმით, საყდრისის დაცვის კომიტეტი ძალისხმევას მიმართავს პარლამენტისკენ, სადაც უახლოეს დღეებში იგეგმება საგამომიებო კომისიის შექმნის საკითხის განხილვა.

ნინო ბურჭულაძე დეპუტატებს მოუწოდებს მხარი დაუჭირონ საყდრისთან დაკავშირებული დროებითი საგამომიები კომისიის შექმნას.

InterPressNews.ge  
Like You like this.

ინტერვიუ

ავთანდილ წულაძე - რუსეთი საქართველოს მიმართ უკიდურესი ზომების გამოუყენებლად, დიპლომატიური ზეწოლით ცდილობს მაქსიმუმის მიღწევას

ყველა სტატია

ქართული პრესის მიმოხილვა

09:26 02-03-2015

ზაზა ფირალიშვილი - "პუტინმა ისეთი ძალები გამოავლინა, რომელთა გაკონტროლება შეუძლებელია"

სმა-ჭამის რესპუბლიკა - ბიუჯეტიდან ყოველკვირეულად რესტორნებში 100 ათას ლარამდე იხარჯება

ივანიშვილის გადაცემას არჩილ გამზარდია წაიყვანს

ყველა სტატია



კურსი კონვერტიორი

	1 USD	2.1654
	1 EUR	2.4315
	100 RUB	3.5365

02-03-2015

ყველა კურსი

არქივი

« მარტი 2015 »

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

მარტი 2015 >

სრული არქივი